

# მ თ ყ ა მ ს ი

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი 8 1 6 9 ღ ი ც ი ლ ვ ბ ა .

საქართველოს საექსარხოსთვის სამდვერელოების  
საცნობელო, სახელმძღვანელოდ და აღსასრუ-  
ლებლად.

უშადესის სინთავის გურთხევათ, უფლ. სა იერუ-  
სალიმად შესავალის დღესასწაულს დღეს იერუსალიმისა და  
წმიდა აღიღის მართლ მაღიდებელთა სასარგებლოდ  
შესაწევარი ამ რიგად უნდა მოიწოდოს:

1. მოწოდება ამა შესაწევარის შესახებ და აგრე-  
თებ ეს წესები მცხის წარმოებისა უნდა დაიბეჭდოს  
ადგილობრივ საკარპიო უწყებაში.

2. სასულიერო ქონისისტორია ამ თავითვე ეპია-  
კიის ეკლესიაში გამოუყენებით ჭრის საა-  
შერტორია მართლ-მაღიდებელ პატიტის საზოგა-  
დოებისაგან მიღებულ პაკეთებს ზედნარწევით ურთ  
შესაწევარის შესაკრებით შემართების, მოწოდებითია,  
განცხადებანთა და მოძღვრება. საფარითურო და აკადემი-  
სამდვერელოებას უნიკალუროდ აღასრულოს ეს წესები და  
განსაკუთრებული მეცნიერებისა გასწავას შესაწევარის  
მოსაქრებად.

3. მიღებები თუ არა ეკლესიაში მოწოდებასა და  
მოძღვრება-საუბართა, მდვერე-მასახურებმა ღოთის-მსახუ-  
რების გარეშე საუბართა და ქოთხვით ეკლესიებსა და  
სასწავლებლებში, სადაც იგი დაასტებულია, და აგრეთვე  
ქადაგებით ღოთის-მსახურების ღოთის უნდა გაცნონ  
მოვალეს ამა შესაწევარის საგანი. ამასთან ეკლესიაში  
შესვლისათანავე წერა-ვითხვის მცოდნე მოვალეს უნდა

დაურიგდეს მოწოდებანი, განცხადებანი და მოძღვრება-  
საუბარი, ამა აზრით წარმოგზავნილი საზოგადოების  
მიერ.

4. შესაწევარის მოვალების დღის ერთის კვირის  
წინად ეკლესიის შესასვლელს გარებზედ გარედგან უნდა  
გაიკრას მოწოდება საზოგადოებისა შესაწევარის შესახებ.

5. შესაწევარის დღეს სამწეროში შესაწევარის  
საგანი და მნაშენელობა ზეპირის ქადაგებას შემწერით  
უნდა შეატყოს და გაიცნოს.

6. თვით შესაწევარი უნდა მოიკინოს თევზას  
ჩამოტარებით უფლისა იერუსალიმად შესავალის უოგელ  
დღესასწაულის ღოთის მსახურების ღოთის წილუზედ—  
სახარების წარმოხედის შემდეგ, ხოლო მწესრისა და  
ცისკრის ღოცებაზე—ფალმუნის წაგითხვის შემდეგ.

7. შესაწევარი უნდა შეპერითონ იმ ეკლესიებში,  
სადაც ამდენიმე მღვდელია, — ერთმა მათგანმა. ხოლო  
სადაც ერთია — ეკლესიის მნათებ და ან ერთ-ერთმა  
საპატიო მრევლთაგანმა.

8. ღოთის-მსახურების ღმბოლებისათანავე დაუკავ-  
ნებდივ უნდა შესდგეს ოქმი შესრუბილ ფულის შესახებ  
მიღებისას, ეკლესიის მნათებ და ამდენისამე საპატიო  
მრევლის თანადასწერებით.

9. შეკრებალი ფული ღმითურთ უნდა წარედგი-  
ნოს ბლადონის შემწერით სინთავის ქართლ გასეთ-  
იმერების კარტორიას, რომელიც წარუზავნის სამშე-  
რატორია მართლ-მაღიდებელ პატიტის საზოგადოების  
საბჭოს, ს.-პეტერბურგს, მოიგაზე, 91.



## პენსია დაქნიშნათ.

უწმიდესის სინოდის 1894 წლის 29 დეკემბრის  
მე-5823 ს. რას ბრძანებით პენსია დაქნიშნათ:

ქართლ-კახეთის ეპარქიაში:  
წელიწადში 130 მან.

ერევანის მაცხოვის ფერს-ცეკვების შტატს  
გაჲშე მეოფეს მღვდელს სიმონ ზეგდინიძეს, 1893  
წლის 6 დეკემბრიდან ასაღვისის სამაზრო საზინდგან.

მღვდელთა ქრისტიანი წელიწადში 65 მან.

ნაფარეველის უფლად წმ. ღვთას-მშობლის მაძი-  
ნების გეგლების მღვდელის მიხეილ ჩიკვაძის ქვიშე  
სიღონიას, 1893 წ. 28 დეკემბრიდან თელავის სა-  
მაზრო საზინდგან; ჭოტორის უფლად წმ. ღვთას-  
მშობლის გეგლების მღვდელ-ს სოლომონ მჭედლი-  
შვილის ქვიშეს სოფიოს, 1894 წლის 10 მაისიდგან  
სიღნაღას სამაზრო საზინდგან; ხელოტის ამაღლების  
გეგლების პენსია დანაშნული მღვდელის ნიკოლოზ  
დეკანოზშვილის ქვიშეს ნინოს, 1893 წ. 20 ნოე-  
მბრიდან გორის სამაზრო საზინდგან; დატოტის  
უფლად წმ. ღვთას-მშობლის გეგლების პენსია-დანა-  
შნულის მღვდელის მაკარიოზ შიშინაშვილის ქვიშე  
სოფიოს, 1893 წ. 13 აგვისტოდან ტფილისის  
საზინდგან; ასაღსოფლის წმ. ნინოს გეგლების  
პენსია-დანაშნულის მღვდელის მოსე კანლელაკის ქვიშე  
გაიანეს, 1893 წ. 24 ოქტომბრიდან ტფილისის  
საზინდგან.

იმერეთის ეპარქიაში.

შტატს გარემო მეოფეს მღვდლების წელიწადში  
130 მან.

იგორეთის უფლად წმ. ღვთას-მშობლის გეგლები-  
ს მღვდელს სპირილ გორგაძეს, 1894 წლის 31  
მაისიდგან ქუთაისის საზინდგან; უკავთის მაცხოვის

გეგლების მღვდელს გრიგოლ დეისაძეს, 1894 წ. 27  
თებერვალიდან ქუთაისის საზინდგან; სანახშირის  
გეგლების მღვდელს სოფრონ მალლაკელიძეს, 1894  
წლის 4 მარტიდან ქუთაისის საზინდგან; შემერის  
სამრევლის გეგლების მღვდელს გიორგი ფაინძეს,  
1894 წ. 16 აპრილიდან ქუთაისის საზინდგან; ჯარისუბანის წმ. გოლოგის გეგლების შტატს გაჲშე  
მეოფეს მთავარს ბესარიონ გოგრაჩიანს 65 მან წელი-  
წადში, 1894 წ. 4 მარტიდან ქუთაისის საზინდგან; დილისაურ-ნიკარაულის სმ. გოლოგის გეგლების პენსია  
დანაშნულის მღვდელის ოქტომბრე ბებიშელის ქრისტი-  
მელინიას 65 მან. წელიწადში 1893 წ 14 სეკტემ-  
ბრიდან ქუთაისის საზინდგან.

## უმაღლესი ბრძანება.

ს ე ლ მ წ ი ფ ე ი მ პ ე რ ა ტ ი რ მ ა, 17 ამა იანვარს,  
უმაღლესად კეთილი-წება და დამტკიცა უწმიდესის  
სინოდის უქვეშევრდომილები მოხსენება იმის შესახებ,  
რომ მისი უფლად უსამღვდელოებება სუხუმის  
ეპისკოპოსი პეტრე დანიშვნულ იქმნას სუმსკის ეპის-  
კოპოსად, ხარკოვის ეპარქიის ქორეპისკოპად.

ს ე ლ მ წ ი ფ ე ი მ პ ე რ ა ტ ი რ მ ა, 17-სა ამა იანვარს, უმაღლესად კეთილი-წება და დამტკიცა უწმიდესის  
სინოდის უქვეშევრდომილები მოხსენება იმის შესახებ,  
რომ მისი მოსკოვის საცენტრო იქმნას სუხუმის ეპისკოპოსი  
ასენი დანიშვნულ იქმნას სუხუმის ეპისკოპოსად,  
ისე-კი, რომ ეპისკოპოსის ხარისხედ სახელ წოდებულ  
და სელ-დასხმულ ს.-პეტერბურგს იყოს.

# მწერლისი



მე ვარ მწერლისი კეთილია: მწერლმან კეთილმან სული თვისი  
დაყვდების ცხოვართაფის. (იოა. 10—11).

ვპრე ცხოვარი ჩემი წარმუშედული. ესრულ იუს სიხარული  
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუ. 15—4).

მოვედით ჩემდა უკველნი მაურალნი და ტვირთ-ჭიმუნი  
და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 5


1883—1895

1—15 მარტს.

გაზარდა გათხოვები.

მართალია, ჩვენი ღროვის ქართველებს  
დიდი სახელი არა აქვსთ სახოგაზო და  
საქელ-მოქმედო შეწირულების საქმეში, მაგ-  
რამ არც ისე დაჭვეითებულნი არიან, რომ  
აქა-იქ საქელ-მოქმედო საქმის გულ-შემატე-  
გრნი არ გვუავდნენ. მრავალ გზის არის  
გამოცხადებული, რომ არავითარი შეწირუ-  
ლება არ მისცენ უცხო ქვეშიდვან მოსულ

ბერ-მონაზონთ და მღვდელთ, რომელთაც,  
დიდი სანია, აკომალული აქვსთ უცხო  
ქვეშის ეკლესიათა და მონასტერთა-  
თვის შეწირულების მოკრება. გამოცხადებული  
იქო მრავალ გზის, რომ თუ საჭიროებამ  
მოითხოვა იერუსალიმის და ათონის ეკლე-  
სიათა და მონასტერთათვის შეწირულების  
შეკრება, მაშინ ამ შეწირულების შემქრებნი პირნი  
უნდა გამოცხადდეს უწმიდეს სინოდი, აქ უნდა  
იღონ ნებართვა შეწირულების მოკრეფაზე,  
თავიანთი პასპორტები და საბუთები მათ ვი-



ნაობაზე სინოდში უნდა დასტოური და სი-  
ნოდისაგან უნდა მიიღონ საჭირო ჰასტორეი  
და მოწმობანი. შემდეგ შეწირულების მოკრე-  
ბისა უნდა გამოცხადდენ პალატევე სინოდში,  
წარადგინონ მიცემული საბუთები, მიიღონ  
თავიანთი უცხოეთიდამ მოტანილი საბუთები  
და წავიდნენ, საიდგანაც მოვიდენ.

მაკამ, სამწუხაროდ, არა მამხედველი  
ამისთანა მშვენიერი განკარგულების გამოც-  
ხადებისა, კიდევ დაეთრუებიან ქალაქებში და  
სოფლებში სხვა და სხვა მაწანწალა მათხოვ-  
რები ბერ-მონაზენები და ძღვდლები, რო-  
მელნიც კრებენ შეწირულებას იერუსალიმის  
და ათონის მონასტერთა და ეკკლესიათათვის.  
ზოგნი განაცხადებენ თურქე, რომიცინი იერუსა-  
ლიმის პატრიარქიდან არიან გამოკავნილნი.  
ერთ ამისთანა მაწანწალა მათხოვარს «მაფა-  
ზინის» თოვი გამოუტეუბია სამეცნიეროში  
ერთი აზნაურიძეილისათვის და მეორესათვის  
ხანჯალი. ამ მათხოვარს უთხრობია ამ პირე-  
პისათვის, რომ იერუსალიმის ქრისტეს საფ-  
ლავის ტაძარს „ეარაულები“ ადგანან, პატ-  
რიარქისაგან მიჩენილნი, მაგრამ ხშირად  
ესხმებიან თავზე ეაჩადები და მცველებს გვი-  
ხოცავნო, ამისთანა თოვის შეწირვით თქვენ და-  
ისხნით ქრისტეს საფლავს და პატრიარქსათ...  
გულშემატკიცარს კაცს შეუწირავს თოვი და  
წერილიც მიუწერია პატრიარქისათვის. ეს  
წერილი და თოვი თვითონ ამ მათხო-  
ვარს მიუღია გასაკავნად. სამი კვირის

შემდეგ შეწირვების დიდი მადლობა მიუღია  
პატრიარქისაგან ამ შეწირულებისათვის: ნია-  
დავ კლოცულობ შენოვის, სწერს პატრიარქი  
ამ წერილში, რადგან მეც და ქრისტეს საფ-  
ლავსაც დაგვიხსნით თავიასხმისაგანთ. ამ  
წერილში პატრიარქის სურათიც უთვილა  
ხადებული. მაგრამ წარმოიდგინეთ, წერილი  
თბილისის ფოსტიდგან უთვილა გამოკავნი-  
ლი და სახე პატრიარქისა კი ოდესაში დაბეჭ-  
დილი!!.

ამ საცოდავ შეწირვების კერ გაუგა  
კიდევ, რომ ქრისტეს საფლავს ეაჩადები კერ  
დაქსმიან და ქალაქ იერუსალიმში ის  
ცარცვა-გლეჯა არ არის, როსაც სხვაგან  
გვედავთ..

კიდევ გირევით, საჭიროა ამ გარე-  
მაცებას სამდველოებამ და ადგილობრივ  
პოლიციამ კეროვანი უურადღება მიაქციონ.

ლე. ღ. ლამაშიძე.


ისტორიული და არქეოლოგიური აღწერი-  
ლობა ჩვენი ზოგიერთი ქესანიშნავი ტამრებისა  
და მონასტერებისა.

### ა ნ ა ნ უ რ ი ს ტ ა მ ა რ ი.

თუმცა მრავალი ჩვენი მონასტრები და მათი  
ტაძრები შესანიშნავი არიან თავისი ისტორიულის  
და არქეოლოგიურის მხრით, მაგრამ ანაურის  
ტაძრი ყველაზე მეტა საყურადღებოა.

გასაოცარია სწორეთ ანანურის ციხე-სიმღერის და ტაძრის ისტორიული მოთხოვა. ეს ადგილია ტაჯვა მტერთავან მოავალი მიღვომია ჩვენი მომწამე საშინელი და შემაძრწუნებელი კაცის გულ-ქეაობისა და მხეცური მტარვალობისა. ანანურის ციხე-სიმღერე სასაფლაოდ გამზღარა მათთვის, ვარც მკვიდრთა და იქ დამარხულთა, არსად მოშენდარა, მასში თავ-შეუარებას ფიქრობდა.

სისხლის ღერა, თავ-დასხმა, აოხრება და ნასტრის მცხოვრებთა, მაგრამ თავიანთთავან რომ ის უბედურება მიღვომოდეს, რაც მიადგათ ანანურის ვეონება.



ანანურის ცამარი.

სოფელი ანანური მდებარეობს ლუშეთიდგან ათავერ-სის მანძილზედ, აღმოსავლეთით, მდინარე არაგვის პი-ზად. ეს სოფელი მდებარეობს კავკავში მიმავალ გზა-ტკე-ცილის მახლობლად. იქ არის საღურა ფოსტასა ანანუ-რის სახელით. ეს სოფელი დღეს შესდგება სიმოციოდ

კომლისაგან. აქ სცხოვრებენ ქართველნი და სომეხნი-ანანური უწინდელს ლროში არაგვის ერისთავების სამფლობელოს შეადგინდა. არაგვის ერისთავები სხვა და სხვა გვაროვნობიდინგან მომდინარეობდნენ. ამ ქა-

გვაროვენბანი: ზაბურიძეები, რომლებიც, იქსო-ლიანის სიცუკით, იყენებ სპარსეთის შეფის შაპურის ჟთამოების, ასსანიდების შეფეთა გვარეულობიდან. ეს შაბურიძეები მოსულან არაგვის სამთავროში 241—420 წლებ შეუ; თურმანიძეები და ჭარმეულები, რომელთაც შესამჩნევი ალაგები დაუკავებიათ მეფე ალექსანდრე პირველის დროს, რომელიც მეფობდა 1415—1446 წლამდე; ვიღაცა ვანეთის აზნაური, რომელიც მოხსენებულია საქართველოს ისტორიაში XVII საუკუნეში, და რომელმაც მეფის სერმონის დროს (1558—1600) გასწუვიტა არაგვის უწინდელი შფლობელები და შემდეგ მათი ადგილი დაუკავებია. სიდამონი, რომელიც გამოცხადდა მეფის თეიმურაზის დროს 1724 წლიდან. არაგვის ერის-თავების სამფლობელოებს შეადგენდა: დუშეთის ზიდამო, აწწდელი ხევი, ხანლო, გუდამაყარი, მთი-ულეთი, და ხან ერწო-თიანეთი. ეს სამფლობელოები იმოდენად დადები იყენებ, რომ ლაშქრობის დროს 15,000 შეიარაღებული კაცის გამოყვანა შეეძლო. ეს სამფლობელოები თან და-თან დიდებოდნენ, რადგან ადგილობრივი ერისთავები ძალათ იფლობდნენ ხოლმე მახლობელ ადგილებს. არაგვის ერისთავები ძლიერ დაუმშერდებული იყვნენ. მათ ხელში იყო ლარის გასავალი და არაგვის ვიწრო გასავალი ადგილები და იგინი ხშირად ეომებოდნენ ქართლის და კახეთის მეფეებს. ერისთავების მუდან საცხოვრებელი ქალაქი იყო დუშეთი; ანანური იყო გამაგრებული და აქ ინახავდნენ თავიათ სიმდიდრეები და რაიმე ხიფათის დროს აქეე იფარავდნენ თავს. აქ, ვახუშტის სიტყვისაგრ, უწინდელს დროში ყოფილა პატარა ეკკლესია, მაგრამ 1704 წ. გიორგი ერისთავს (რომელიც შესანიშნავია იმით, რომ თათრების სიამონებისათვის მიიღო მაპშადის აღსაჩება, მაგრამ ლალატობისათვის იგი მოკლულ იქნა თათრებისაგან დუშეთში 1723 წ.) აღუშენებია დიდ და მშვენიერი ტაძარი გულბანით და გარს გაუკეთებია გალავანი; იმასვე მაღლობს ციცაბოზე აღუშენები კოშკი და ციხე და ფერებრობდა, რომ ამ კოშკში დ

კინეში რამე უბედურობის დროს თავს დაიფარავდა, მაგრამ ამ კოშკში და ციხეში ამოწყეტეს მისი შვილები». ამ სიტყვებით ვახუშტი უჩენებს, თუ რა უბედური ბოლო პქონლა გიორგის შთამომავლობას, ხოლო ეს უკანასკნელი გარემობა ცხადათ გვიჩვენებს, თუ რა სასტიკი ხასიათისანი იყვნენ საქართველოს ერისთავები. ამ საქმე როგორ იყო: საქართველოს მეფის თემისურაზის და კახეთის მეფის ორაკლის მეფობაში, ნაღირ-შავის დროს, ქარანის ერის-თვის შანშე იახეს ძმას, რომელსაც ცოლად თემურაზის ძმისწული ჰყავდა, არეულობისა გამო, თავისი ოჯახობით უნდოდა თავი შეეფარებია საღმე თემურაზის სამეფოში; მაგრამ გზაზე მას თავს თავსხა არაგეს ერისთვის ბარძიმეს მილიცია და გაძარცვეს. ქსანის ერისთავმა შანშე იახემ 1739 წ. დაიჭირავა ლეკიბი 12,000 კაცამდე, გარს შემოერტყა ანანურის ციხეს, რომელშიაც ბარძიმე თავის ძმით და მახლობლებით ჩაეცილი იყო. ჯარს ხელმძღვანელობდა თევითონ იახე და კულარიგასი, ლეკიბიდვან და შანშეს მალიცია-დვან იმდენი კაცი დაიხუცა, რომ დანარჩენი ჯარის კაცები დახოცილების გვამებისაგან თავშესაფარს აკეთებდნენ. დაბოლოს მათ ნახეს იმ წყლის გასავალი, რომელიც ციხეში მიღილდა და სხვა მხარეზე გადაუშვეს წყალი. ახლა კი იმედი დაპკარგეს ციხეში ჩაეცილებმა. ბარძიმეს შეილი უთხრუთი გამოვიდა ცოლშეილით ციხიდან და ჩაიკეტა მეორე ციხეში, რომელსაც სახელად შეუპოვარი ერქვა. ბარძიმე დაიჭირეს და მოსჭრეს თავი და იმასთან მყოფი შეიპყრეს. ქსანელები შეცვინდნენ ციხეში, სადაც ჩაეცილები იყვნენ ბარძიმეს მომხრენი, დაიკავეს ეს ციხე და უკელა იქ მყოფი ამოქლიტეს. უთერთი თავის ოჯახობით ციხეში გამოწვეს, ქალები, რომლებიც სიმაღლეებიდვან გადმოცვინდნენ შეუბრალებლად დახოცვეს.

(შემდგენი იქნება)



შესანიშვნა ხელნაწერი.

## შექმნისათვის კაცისა.

(გაგრძელება \*)

რა სრულ ჰყო სოფლის შემკობა, ვითა მან  
განაწყო სრულად, სთქვა: კეთილ, არღა არს საქმის  
კრინება; წამის ყოფითა განპეკარება, საქმედ არ მოეწყინება,  
და კვლავ პბრძნა: სახედ ჩევნდათ ვეზნეთ კაცის  
წარმოდგინება.

თქმა ესე ფრიად მაღალი ბრძანა საღმრთომან  
ნებამან, ინება, ითნო, ითვისა, ნეტარმან მან სამეცამან,  
კაცი ქმნილთა და ცხოველთა მაღალთა მოგონებამან  
და უფლად და მეფედ განსაზღვრა, ღვთისა ბრძენ  
ხელოვნებამან.

დიდ არს და მაღალ საღმრთოსა განვების მიწ-  
თომილება! ვინ ჰერცინა გონება უფლისა, ვინ ჰყო თან მიღვი-  
მილება, ვინ თან ზრახ ექმნას, და სიტყვით ჰყოს მასთან  
შეწყობილება! და თუ ეხოს მოებსა, სალებსა ჰქმნას ავლად გარ-  
დაცვლილება.

შენ მეუფება, მაღალთა საყდართა დამკვიდრე-  
ბულსა, უსხეულოთა ძალთაგან, ზესთათქმად განდიდებულსა,  
რისხეასა შინა წყალობის იქითად მოსწრაფებულსა, და გოხოვ განხმად თვალთა, გულისა, მცედ შენდა  
შევეღრე-  
ბულსა.

ოდეს მაღალმან ნებამან პბრძანა კაცისა ქნი-  
ლება, მყისთანადობით შეაწყო მისივე მოყვანილობა,  
მასთან არა არს საჭირო ყოვლად დამისა ცელილობა,  
და როცა ინებოს იქმნების, ვის ძალუძს მისი  
ცილება.

მიწა აღილო ქვეყანით, ყოვლისა უჯობესისა  
განრჩევით სხვათა მიწათა, სუფთა და უწმინდესისა,

\*) იბ. «მწერები»-ს № 2 1895 წ.

თიხა შეზილა, შეაწყო, სთქვა კაცის სახე ეს-ისა,  
და შთაბერა სული ცხოველი, ქვნა საქმეუეფესისა.

დიდებულ ჰყო სიტყვიერად, განასხვავა ყაველა  
ქმილსა, სული მისცა, მეორეცა, ვითა ჰერცინის სისხლ-  
ხარც ლბილსა, აღაყვავა კეთილობით, განაწესა ჰარებს ტკბილსა  
და მეფედ ყავლის ცხაველისა, ჰყო საზრთხა მას  
ადგილსა.

ოთხთა ნივთაგან შეზავა, კეთილად გარა-  
შენალა, სხვა უმთავრები ნაწილი მათ შორის და შენალა,  
უკვდავი, დაუბერები ითხ მთავრად დაუყინალა,  
და ვისი არ ძალისა შეცყრია, რა ზომ ჰყო  
ფრთითა ფრენალა.

დაადგინა მეფედ ზედა მათ ქვეყანისა ცხაველთა,  
ზლვა ტბათა მდინარეთადა, მთაველოვანთა ყოველთა,  
ვერა სადა ჰერცინობით ქვენათა, მასის ხმას შეუ-  
პოველთა, და მიმართეს მისკან მათასა სახელის დებას მიხო-  
ველთა.

რაცა მან დასდევა, მას აქეთ იგუვე სახელებია;  
აღხელეთ ცისა მართობთა, ვითარი შეცკულებია!  
მისთვის შემჩადა ყოველი, რაცა სად შექნილებია.  
და უინაოგან ესრედ ჟატოჭხა, მართლად არა  
სძულებია.

კვლავ სხვა დასდევა განკუირვება მას კეთილად  
ხელით ქმნილსა  
გამოულო გვერდით შემწე, მშენიერი ტკბილი  
ტკბილსა,  
დაადგინა ორნი ერთად, საუკედავის ედემს მტილსა,  
და იშვებდენ და იხარებდენ საზოთხისა ხეთა ჩრდილისა;

უწიდა აღამ და ევა, დასედა ეს სახელებია,  
მამა-კაცს დედა-კაცაბის, არა რა დაუკლებია,  
შემაქცეველად იგინი ურთერთას უახლებია,  
და უწევით მისცა სამოთხის, ხალთაგან საჭმელებია.

იხარებდა ქმნილსა ზედა ედემისა დამნერველი,  
იგი ორნი რონინებდეს სამოთხესა ტაშა შეელი,  
და ჰაზრი ყოვლად არა ჰერცინდათ ურთერთას გან-  
მკაცრელი,  
და ანგელოსებრ ჰერცინებდან, მექენი იყო მათდა  
მცველი-

ადამს უპრეძნა მცნებითა: «ისმინე ჩემის ნებისა, დაიცე ეს სჯულები დათხრობა საზღვრის დებისა; თუ განხეალ ჩემსა მცნებასა, დრონი გხვდეს შენა- ნებისა,

და უკედავების წილ მიიღო, შემოსა მოკედაებისა».

ორთხევ ერთდ იუწყეს, ეს მიცემა სჯულისა, კრძალვით ისმინეს, სწადოლათ სრულ-ყოფა ბრძანე- ბულისა, მათ ხელთა აქენდათ საესებით ყოველი შევბა გუ- ლისა, და ვერ სცობდნენ, კმუნეა არ იყო თვინიერ სიხა- რულისა.

### აქა ეშმაკისათვის და ცოტნებისა ადამისა.

იგ მეორენი ნათელნი, რომელი დაებადალა, აწ წინა სრულმან სიტყვამან, ვინაუ განაცხადალა, ფრთისა გუნდთა მთავრობამ სხევერ საქმე განიმზადა, და რომელნი ლირსად ჰაზრისა პატივს მიეცნენ მსოფლადა.

ჰსუნეს რა თვისა თვისისა ზესთა ხარისხთა დემუსლობა, ხაყდრისა დეთისა წინაშე, გარემო შემორტყმუ- ლობა, პირის პირ დეთისა აქენდათ მათ დიადი მოხარუ- ლობა, და მის პირველისა ნათლითა, ჰშვენოდათ აღკაზმუ- ლობა.

რა ჰსუნეს თვისი ეგზომ მალლად, პატივითა უალრესად, განიზრახეს მარხისა თავნი არღა უდარესად; მყისად ექმნათ მოგონება, ნალელისაცა უწარესად, და ნათლად ქმნილნი შეიცვალნენ უკუნისა უბნე- ლესად.

საღმრთომან მაღლმან მალიდ ჰეცით გარდმოთხეულად, ჰეცისა მალნი შიშითა შეიქმნენ შეცრუეულად, ჰოველნი არსნ ძრწოლიან, იყვნენ ჭირებთა ხვეუ- ლად, და არა იცოდენ რა ექმნათ, იტურდნენ თავსა სწეულად.

შიხაილ, ძალთა მთავარსა, უპრეძნა წაშის ყაფა მან ერთმა მან ღმერთმან ძლიერმან და ტებილმან მისმან ნებამან,

ხმა ჰყეა ხმითა ძლიერად, სუნა ყოველთა არსთა მკობამან, ეგნენო თვის თვის წესზედა, მყისთანა იწყო ხმიბა- მან.

ჰსდეგრო, ჰსდეგინ შიშითა დიზისა ღეთისა ძალისა, სმინეთ არსნო, ისმინეთ, ხმა ჰყოფდა მალის მალითა, აღიდეთ ღმერთი საბაოთ, იგ უხილავი თვალითა, და ეგნი თვისეა წესზედა, ნურდა ხართ ცნობა- მკრთალითა.

ხმითა მით ყოველი არსობა ეყოო თვისთა წესითა, პროველი დასი დაემხო დიდებით უალრებითა, დაეცა, იქმნა საძულველ, ბრძანება უმაღლესითა, და გარდაცვალ ნენ ეშმაკად, განზრ ახვით უცუდესითა. ნათელნი იგი საწალნი იქმნენ საძულველ ბნელობით, მათ ერთთა გუნდთა სიმრავლის ეინც იქმნა აღ- მრიცხველობით, მთავრითურთ თვისრთ შეიქმნენ ყოველთაგან საძულ- ველობით, და დეთისა დიდების ხილებასა მოაკლდენ უკრძალვე- ლობით.

განიკუთენეს ჯოჯოხეთი, მას შანა აქესთ ტანჯვეთ ხილეა, ნათელს ჰშორენ, ბნელსა მყოფთა აქესთ ურთ- ერთის კბენა, ლალვა, ფსკერსა უფსკრულს წელიად მწარეს საღმრთოს ხალით ექნათ ძალვა. და ბოროტ მათ რად დავიწყდათ თვისის მბადის შიში კრძალვა!

პირველადევ ბოროტმან მან, შეურმან ზეცით გარდმოყარნა. შეიშურეს დეთისა დეთობა, ამად მიმდებ ბნელმან ჰეცან, მაცე შეურსა არა სთმობენ მათმან კრებამ შეიცვარნა, და თუ ვისი სცნეს კეთილობა რამცა რამან განა- ხარნა.

რა კაცი ბილტშან ეშმაკმან პ.ცნა ესრო  
განდილებული,  
მაღალს პატიგისა აღსრული დაგდებს დადგინდებული,  
ლეთისა მიერის ნებითა ქმნილი და შეკუარებული,  
და აღიყსო შეტით, შეიქმნა საკულავად მოსწრა-  
ფებული.

ეს მიაროთ ნაყოფად თვის ბოროტ ხის-  
ხილი,

თეისისა მხაკუარებითა დასხმული, დანერგილია,  
ურჩია: «თუმცა განიცილი, ჰერმობ ეითა გემო  
ტბილია,  
და გინცა მიიღებს, იქმნების მჭამელი განლმთო-  
ბილია.

თვალს აღუხილავს მგემებელს, პსკობს ბო-  
როტსა და კეთილსა,  
რად რონინებთ ეგრე ცულად, ხართ პატიგისა მოკ-  
ვეთილსა,  
თუ ისმინო სიტყვა ჩემი, შეტეალთ ადგილს ზესთა  
ქმნილსა,  
და თვით იქმნებით ლერთნი მქმნელი, ბოროტს  
იწალთ თუ კეთილსა.

ამად გიბრძანათ არ ჭარა მის უცხოს ნაყო-  
ფხსადა,  
არ ჰებავს თქექნი პატივი, ეშინის გალმრთობისადა,  
ნუ ჰერგავთ დიდსა დიდებას, ისმინე ჩემის თქმისადა,  
და ჭარე, და ადამს აგრე უცხოსა ამის ხისადა».

ზეკეით მხაკუარმან, მაცოტურმან დაუკო ესე  
მახები,  
ესყოლა მალის მალობით, შემზადა სიტყვა მჭახები,  
თუ გერის ნახავთ, მერწმუნე ერ ჰეჯობსო მუფა  
რახები,  
და რად არა გინათ განლმრთობა, რად ხართ საქმითა  
გლახები.

(შემდეგი იქნება).

## საისტორიო მასალა.

იგნე ბატონიშვილის წინადადება გითარგი მე XIII-და  
მართმეული 1799 წელსა.

(გაგრძელება \*)

მეათე ეჭვმეტე. იუს ნაიბად მეფისა ხალხის  
მაურებელი ქადაქებსა შინა, რომელ ანუ ადლინი,  
ანუ წონანი, ანუ სხვა ნივთნი ჯეროვანით ფა-  
სით ისუი დებოდეს ხორავი და სხვანი ნივთნი  
და აქა სიხარბე და სიუალე არა გამოჩნდებოდეს  
რა და ეს გაშინჯავდეს ყოველთვის და რიგს  
მისცემდეს.

მეათე ეჭვმეტე. იუს ნასაღიბაში, დამნაშა-  
ვეთა ეს მისცემდეს საპყრობილეთა შინა და  
დაშავებითაც ეს დაშავებდეს დამნაშავეს კაცასა,  
რაგვარცა სამართალი მოუჭრიდეს, და აძირაცა  
ხელქვეშ უნდა იუვნენ მოხელენი. აგრეთვე  
იუვნენ ნასაღიბი და ამათ ჰევანდეს უფროსი,  
ესენი რიგზე დაუუნებდენ მაურებელთა  
ხალხთა, დოროსა მეჯლიშისა დღესასწაულო-  
ბისა და ქორწინებისა და სხვათა ცათამაშითა  
შეკრებულებისასა, რომე უბრალოდ ჩჩები და  
უწესოება არა მოხუცეა რ, ესენი შეიპყრობდენ  
ამ გვარში ავად მომქცეველო და მეჩებართა.

მეათე ეჭვმეტე. მოურავები იუვნენ ისვევ  
მოუმდებლებად და ამათ ხელქვეშე ჰევეთ მამა-  
სახლისნი, ნაცვლები, ქევსები და გზირები, და  
ესენიცა ხაზინადარს მისცემდენ შემოსაჯლის  
ანგარიშსა.

მეათე ერთეული. იუს ასისბაში და ეს იცვამ-  
დეს ქადაქთა შინა დუქანთა დამე სახლებთა და  
ქარვასდებთა ქურდებისაგან, და მეჩებართ  
კაცთაც ეს შეიპყრობდეს, და თვისსა მოურავსა  
ეს ცხად უუოფდეს მის ქადაქთა ერთგვართა  
საქმეთა. თუ ცეცხლი გაჩნდეს, ესენი უშე-  
ღლიდნენ.

მეორე. იუს კასაბბაში, ამისგან განწესდე-  
ბოდეს უასბები, და სახალხო საკლავის რიგის  
მიმცემი ეს იუს, რომ არ აკლდესთ ხალხთა  
სახლცე.

**მეოცდაერთე.** იყოს სირაჯბაში, და ამის დაკითხვით და ფასდებით იუიჰებოდეს ლვინდ. გარგი გარგ ფასში და ცუდი ნაკლებ ფასათ, აგრეთვე არაუი და სხვა სასმელები.

**მეოცდაორთე.** იყოს ჩილაქეჩიბაში (?); ფქვილი ამისგან დაერიგებოდეს ქალაქთა მეფეონეთა პურის მცხობელთა, და ესევე განუწესებდეს ფასთა, გარგს გარგობით და ცუდს ნაკლებ, და აქვნდეს ეს გვარი თაზარიკი, რომ არ აკლდეს პური მენ მცხოვრებთა ხალხთა, აგრეთვე ქერი, სიმინდი და ფეტვი ამის მიერ იყოს გასასუადელი.

**მეოცდამესამე-** იყოს ბაჟალბაში, და ბაჟლები ამის ხელქვეშ იუვნენ; და ამის ფასდადებით გაიუიდებოდეს ერბი, უკელი, ბრინჯი, სამართო, თევზი, ძველი და ახალი ხიზალალა და სხვანი, რაც მეჯუქნის რიგია შესაბამიერის ფასითა.

**მეოცდაოთხე.** იყოს მეწვრიმალეთა უფროსი, ამის გამო გაიუიდებოდეს, რაც საწვრიმალო რიგია: ჩაი, მაქარი, უვა, ილი, მიხავი, დარი. ჩინი და სხვანი საექიმო წამალნი და სხვანი საწვრიმალონი. აგრეთვე მიწის იარაღნი და ჩინისა.

**მეოცდამესუთე.** იყოს სარაჯების უფროსი. ამის დაფასებით სამხედრო იარაღი, უნაგირნი, თო ქალთო და ცხენის იარაღი ისუიდებოდეს. აგრეთვე ფალნები.

**მეოცდამესექსებ.** იყოს ხარაზების უფროსი ამის გამო დაფასებით ისუიდებოდეს ქრეში, წულა-წალა-ჩექმა და სხვა ფეხსაცმელი.

**მეოცდამეშვიდე.** იყოს მექედების უფროსი, და ესეც ავ სახით იქცეოდეს, და წამოსასხმელს ტუავსაც ესევე დასდებდეს ფასსა, ვითარცა ქუდისა.

**მეოცდამერგე.** იყოს ქურქების უფროსი და უოველი ბეწვეულის საქმე დაფასი ამას ეკითხებოდეს.

**მეოცდამეცხრე.** იყოს მეერვალთ უფროსი და ამის მიერ, მიებარებოდეს შეგირდნი, და მეერილთ ტანისამოსთა ესენი საჲებდნენ ფასსა. აგრეთვე არაუი და სხვა სასმელები.

**მეოცდამეთე-** იყოს ნალბანდების უფროსი, და ამას ეკითხებოდეს უოველის გვარის ნალის ფასი, და ეს აძლევდეს რიგსა, რომ უოველთვის იყოს ნალი მზად, ვითარცა სამხედროთათვის, ეგრეთვე გარეშე ხალხთათვის.

**მეოცდაოურმეტე.** იყოს ჩილინდართ, ბიჩახჩებისა (?), და მჭედლებისა უფროსი. ამას ეკითხებოდეს თოვისა, ხლომისა, ხანჯლისა და სხვათა კეთება, და ამასთან ჩახმახისა, ბულლითა და ლურსმებთა და სხვათა სახილინდროთა სახმარობათა ესე აძლევდეს რიგსა უოვლისა რკინის სახმარობისასა.

**მეოცდამეთორმეტე.** იყოს ბაზაზბაში. ესე დასდებდეს ფასსა მაუდისა, ფარჩათა, ჩითთა, ჭაინთა, ბანბასა, მატულთა და სხვათა საბაზროთა ნივთთა და იმ სახელ გაიყიდებოდეს. კვალად განწესდეს ერთი ვინმე გარგი კაცი, იშობის ოსტატები მაუდის მკეთებელი და პლისის მქალაველი, ესე იგი, ბანბის ხავერდისა, რადგან თრისავე მასალა ბევრი იშოვება ჩვენს ქვეუანაში.

**მეოცდამეათცამეტე.** იყოს დალაქებისა უფროსი, ესენი განცწავლილნენ შეგირდებს გარგად, და ესენი მისცემდენ რიგსა სამართებელისა, ნეშტართა და სხვათა სადალაქოთა სახმართა ნივთებთა, და ამათ მიერ წარივლინებოდნენ სოფლებში დალაქები, რომ დროსა სისხლის გამოშვებისა, ანუ კოტიშის მოყიდებისასა იუვნენ გამოცდილნი, რომ კაცი ან არ მოვლან უცოდინარობით და ან არ დაშაონ.

**მეოცდამეთორმეტე.** იყოს ყანთარჩიბაში, ესე იგი ამწონის უფროსი. ესე ასწონდეს მძიმეთა საქონელთა, ვითარცა არის ჩვეულება, ამას ჭილდეს გასასუიდნი სასწორნი, ადლნი, ხაწ.

უაონი, ჩატნი სპილენძისანი და ესე ვითარნი, ვითარცა არის დადებული იმდენ სტრილიანი, დაბეჭდილი სამეფოს ბეჭდოთ, რომ ამა წონებში არავინ იუს მოტიუსებულ.

**მეოცდამეტათუხმეტე.** იუს მექვაბების უფროსი. იგინი მიიღებდენ სპილენძთა და აკეთებდენ ჭერჭელთა სახმართა, და ქვაბებს საარა-უთა, და ამათ მიერ ფასდებით გაიყიდებოდეს.

**მეოცდამეტამესმეტე.** იუს თქრომჭედლების უფროსი და ესე მისცემდეს რიგსა, და ხელ-ფასსაც ესევე დაუნიშნავდეს ხელოსანთა, და თქროსა და ვერცხლისა და სხვათა მეტალთა ესე გაშინჯავდეს და ქარეთ გააკეთებინებდეს, თუ ვის რა უხმდეს, ხალასი თუ უალიბი, ნდომისა-ბერ პატრონისა.

**მეოცდამეტათხვიდმეტე.** იუს მესანთლეების უფროსი. ესე დააფასებდეს წმინდა სანთელოთა, ქონთა, სანთებთა ზეოებთა, ნავთთა და ესე ვითართა, და ამას ეკითხებოდეს კვალად საპოვნის გამოხარშვა; რათა ამისი სუნი არ დაგვეს ქალაქთა შინა, და ეს დაუნიშნავდეს ადგილისა გამოსახარშავსა და ჩამოსხმულთა სამოელთაც ესე დასდებდეს გასასყიდ ფასსა.

**მეოცდამეტვრამეტე.** იუს გალატოზების უფროსი, აგრეთვე ქვისა საშენებლისა, კირის, აგურისა და გაჯისა უფროსი, და ფასის დამდებელი.

**მეოცდამეტერამეტე.** იუს ტივის ხის მომტანთა, სახლებისათვის ფიცრებისა, ხუროებისა და დურგლებისა, ხარატებისა უფროსი, და ამას ეკითხებოდეს სადურგლო საქმის გაკეთებისა ხელფასი და სხვა საჭიროება და გასუიდვა მათი.

**მეოროცდა.** იუს მეჭურჭლეთ, თიხისა, ქაშანერისა უფროსი, ამას ეკითხებოდეს უოველი მეჭურჭლის ხელობა, აგრეთვე მექვავრებისა და სხვათა და ესევე დასდებდეს ფასსა უცხო მხრიდამაც მოტანილსა ჭურჭლისა, და ესე გასასუიდვინებდეს.

**მეოროცდაერთე.** იუს მხატვრების უფროსი. და ესე დასდებდეს ფასსა გაცთა, სახეებთა ფერადებთა და ვარაუთა! და ამის სიტუაცით იმუშავებდენ სხვიდამ მოსულნი მხატვარნი და აგრეთვე აქაურნი.

**მეოროცდაორე.** იუს საზანდრების უფროსი. ამის ხელშევეშ იუს ქალაქის ზურნა ნალარა და სხვა რაც გასასყიდ საკრავი გამოვა, და ეგრეთვე სხვა ძვეუნიფან მოსრულნი საზანდრები ამის დაკითხვით იუვნენ აგრეთვე შინაურნი.

**მეოროცდამესამე.** იუს ყაზახების უფროსი, ესე მისცემდეს რიგსა ყაზაზთა, ძაფისა, ბაბთისა დაზორნისასა და ფოჩთა; აგრეთვე სხვათა, ხელსაქმეთა და აგრეთვე საბლების მჯრეხელთა.

**მეოროცდამეოთე.** იუს ქურდების უფროსი სახითა ამით: უკუთუ მოიპარს ვინც რამ რა, და თუ იპოებს, გარდახდება იმ ქურდსა ვითარცა წესია, და თუ ვერ იპოებს, შევიზნენ და შეეხეწნენ დამგარგველი იმა ქურდისა უფროსსა; იგი ეძიებს, და ოდეს უპოოს, მისცენ თუმანზედ საპოვნელი ათო-შაური. და ესე განუუღის უფლისა მას ადებულისა ქურდებისა, და ამით უფრო იპოება. ხლოო ეს ქურდების უფროსი, ვითარცა მლვლელი. ეგრეთ ვერ გაამხელს მომპარავსა, და ამით უფრო იპოება დაგარგული საქონელნი; და ეს უნდა იუს სარწმუნო გაცი, დაუიცებული, რომ, რაც ქურდთ მიუტანონ ის ნივთი არ დამალოს.

აგრეთვე იუვნენ ხევის ბერნი, ქურდებისა და ავკაცთა ქართლისა ქახეთისა შინა გარდამხდევნებელნი. ჯარიმათი და ესენი მიაბარებდენ ნარბევთა ნარბევთა მათთა ხაზინადართა და ანგარიშსაც განუწმენდნენ.

(შემდეგი აქტება)



## პასუხი მ. ალექსი გიორგაძეს.

„ივერიას“ მე-№ 44-ში ჩვენ ვყითხულობთ შემდეგ წერილს მ. ა. გიორგაძისავან გაგზავნილს:

კეთილის № 9-ში დებ. დ. ღამბაშიძე გვისაუძლესებს, რატომ ქუთაისის საზოგადო სკოლის მოსწავლებაც არ გამოიჭერთ გეგმვების საგადაზისად. უნდა მოვახსენოთ მ. დეგანიზის, რომ ამ სკოლის მოსწავლეებმა სხვებზე ნაკლებად არ იციან საექველესით გაღობა, მაგრამ, მე, აქაური გაღობის მასწავლებლი, კვირა-უქმათ ვალდებული გარ, ვასრულებდე მღვდელთ. მსახურებას საქალეო წმ. ნინოს სასწავლებლის ეპიდესიაში და ამ მაზეზისა გამო უოკელთვის ეკა გამო მევაგს მგბლობელთა გუნდი საგადაზისად, ხოლო ზანდას-ხანევი ინსპექტორის განკარგულებით გამოვდივართ მასღობელ ეგეგმვისაზე და გეაღობთ.

ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს მ. ალექსი გიორგაძის პასუხი, რაღაც მის შესახებ არც ერთი სიტყვა არ გვითქვამს, და ვერ გავიგია, თუ რასთვის შეუწეხებია თავი პასუხის წერისათვის? მართალია, მამა ალექსი გიორგაძე ასწავლის რუსულ გაღობას ძუ-თასის სათავად-აზნაურო სასწავლებელში, მაგრამ ქართული გაღობის სწავლებას როგორ შეიძლებს ის, როცა ეს გალობა თვითონაც არ იცის! მ. ა. გ—ე არის საღმოო სჯულის მასწავლებელი ქუთაი-სის დედათა სასწავლებელში და მღვდელი ამავე სასწავლებლის ეკვლებისა. ყოველ კვირა-უშემ დღეებში იგი ვალდებულია თავის ეკვლესიაში სწოროს, ხოლო საზაგ დღეებში გაკვეთილებს აძლევს და როდეს შობს იგი იმ თავისუფალ დღეებს, როდე-საც 『მასს ხსენებული სასწავლებლის ინსპექტორის განკარგულებით დაყას საგადაზისად მოწაფეები მასღობელ ეგეგმვისში?』 ჰა, ეს შეიძლება მაშინ, როცა ქუთაისის საქალებო სასწავლებლივან მოწა-ფეებია დათხოვნილნი. მაგრამ ვკათხოთ მ. ალექსის, განა სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლენი კი დათხოვნილნი არ არიან ამ დროს? საჭიროა იცი-დეს საზოგადოებამ, თუ რომელ მასღობელ ეგეგ-

შებში აკალობებს ხოლო მ. ალექსი მოწაფეებს? მართალია, სახაფლაოს ეკვლესიაში, ამ ღიღ-მარხების პირები კორიაკეშია, თავის 5—6 წლის მასწავლებ-ლობის განმავლობაში მხოლოდ ორგზის მიუკვანია მგალობლები და უგალობნით კიდეც მარტო სფ-რაბაზე და ცისკარზე, მაგრამ განა ეს მისი გალაბა შეიძლება ქართულ გალობაზე ჩატვალოთ? შეიძ-ლება, მამაო ალექსი, გარეთის შეკველები და-ჯერათ, რომ თქვენ სხეაზედ ნაკლებად არ იცით ქართული გაღობას, მაგრამ მკეოზ მცხოვრებთ და აღვილო-ბითი ეკვლესიების კრებულთ ეკრას გზით ვერ დარ-წეუნებთ, რომ თქვენი გალობა ქართული გალობა იყოს. მოწაფეთა ზნეობრივ აღზრდა-განათლებას ის კი არ განამტკაცებს, რომ ზოგ მოწაფეები რაღაც გადარჯულებულ კილოზე ორიოდე საგალობელი დასწავლოთ. საჭმე ის არის, რომ სასწავლებლის უკელი მოწაფეებს შეიძლოს გალობა და ყევლანიც დაიარებოდნენ ეკვლესიებში წირვა-ლოცვის მოსა-მენად. მ. ალექსი ბრძანებს: «მე ყოველთვის თა-ვისუფალი არა ვარ და ამიტომ ვერც მოწაფეებს ვაგალობებოთ». ნუ თუ ამიერი ხის განმავლობაში ისე ვერ მოამზადეს მოწაფეები, რომ მათ უთქვე-ნოთაც შეეძლოთ გალობა?...

დიალ, ამ შემთხვევაში მოწაფეთავან გალობის უცალინარობაზე მეტად სამწუხაროა ჩვენი თავის მოტყუება. ჩვენს დაუზენელობას, ჩვენს სიზარმაცეს და გულგრილობას ყოველივე საშუალებით ეფარავთ და ამ გეარად ჩვენს თავსაც და სხეათაც ვატყუებთ. უკელაზედ უფრო სამწუხაროა ჩვენთვის ამ გეარი სიტყვების მოსმენა საღმოო სჯულის მასწავლებლი-საგან და იმ დროს, როდესაც მრავალნი მასწავლე-ბელიც სასაჩვენებლივ არ რაცხენ მოწაფეთა ტაძრებში სიარულს წირვა-ლოცვის მოსამენად!...

ლეკ. დ. ღამბაშიქ.

## ახალი აშშები და შეჩიტვები.

23 თებერვალს მათვა ყოვლად უსამღელელ აუ-  
სობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა და ალექ-  
ანდის ეპისკოპოსმა ბესარიანმა სწირეს ღვანკითის  
ეკკლესიაში მათ უკანათლებელების აღეჭუნდუ-  
რა ბაგრატიონის სულის მოსახსენებლად. წირვის შემთვევ  
შესი აუგეს გარდაცვალებულს.

\* \*

სოფელს მათხაჯში, ხონის მახლობლად, დე-  
დათა სავანე დაუარსებით. ამ სავინეში შეკრებილ  
48 მონაზონი და თავიანთი მეცაზინეობით შესაფე-  
რად დაბინავებულან კიდევ. სრული იშედა, რაც  
ეს დედათა საენე უკან არ ჩატარება თეკლათას  
დედათა საენეს. თეკლათის მონაზერში შშერივია და  
გაწყვილება წირვა-ლოცვამ და ქართულმა გალა-  
შამ ჩერ გაგვაკვირვა.

\* \*

თეკლათის მონასტრის ორი მონაზონი დადიო-  
დნენ მონასტრის სასარგებლოდ ფულების შესაკრებად. მაქას ქართველის საზოგადოებას ექვსას მანეთამდე  
შეუკრებია ამ მონაზონთათვის და სხვაგანაც დიდის  
პატივის ცემით ეს მოლობნები დედობთ. კეშარიტაუ-  
შახისარულო ამბავია ეს ჩერნ დროში.

\* \*

ნახარებოვის მონასტრის წინამძღვარი არხიმან-  
ტრიტი მ. იონა გადაყენილ იქმნა გურიაში შემო-  
ქმედის მონასტერში, ხოლო მის აღგილზე დაინიშნა  
არხიმანტრიტი მ. ამბროსი. ჩერ თეითონ ენახეთ  
ნახარებოვის მონასტერი და მეტის მეტად გაფაოცა  
ამ მონასტრის ხილარიიბეჭ და სიღარაკემ.

\* \*

შრესის სამღელელების ჯამაიტება. მთელს  
პრუსიაში არს 8900 მღელლის აღილი. ამ 8900  
მღელელში 21 ნაწილს ეძღვევა თითოს წელიწადში  
10,000 მარკა (4,000 გ.); 17 ნაწილს თათავეულს  
არა ნაკლებ 720 მანეთია.

\* \*

პრუსიაში წერა-კითხევას უკადინართა რიცხვი  
თან-და-თან მცირდება. 1882 წელში, 1000 ჯვარდა-  
წერილში მხოლოდ 39 კაცმა და 59 ქალმა ის იცავდა  
წერა, რომ ჯვარის წერის საპუთებზე სელი მოუწე-  
რათ, — 1893 წელში კი 1000 ჯვარ დაწერილში  
მხოლოდ 15 კაცმა და 24 ქალმა არ იცავდა წერა-  
აგრეთვე ჯარში, გაწევულ პირთა შერას წერა-კით-  
ხების უცოდინართა რიცხვს შესამჩენეად უკლია. წი-  
ნეთ 1000 კაცზე ოცმა არ იცავდა თურმე წერა,  
დღეს კი 1000 კაცზე სამშა არ იცის წერა-კითხეა.

\* \*

საერთო განათლების საქმე წრდილოვან ამერიკაში.  
საზოგადოების სკოლების შესანახვად მთავრობას  
დაუხარჯავს 1893 წ. 163,559,016 ღალარი, (200  
მილიონი მან.). ეს ფულები დახარჯულა მარტო პირველ  
დაწყებით და ზოგ უმაღლეს სასწავლებლების შესა-  
ნახვად. გარდა ამ ფულებისა დიდ ძალი ფული  
ისარჯება ეკკლესიების საზოგადოებათა და კერძო  
პირთაგან სხვა და სხვა სასწავლებლებზე, განსაკუთ-  
რებით უმაღლეს სასწავლებლებზე, რომელიც  
კერძო პირთა სამუალებით ინახებიან. ჩრდილოეთ  
ამერიკაში საზოგადო სკოლებში მოსიარულე ყმა-  
წერლების რიცხვი 1893 წ. ყოფილა 14,165,152,-  
ამათში 402, 189 ყმაწევილი სწავლობდნენ სამუალო  
და მოსამზადებელ სკოლებში, ხოლო 187, 682  
ყმაწევილი დადიოდა უნივერსიტეტებში და ცენტრ  
ლოგიურ სასწავლებლებში.



სწორი და მეტნიერება ქრისტიანობის სარჩევნოებასა და კეთილგანვითარებას.

ზნეობაზე.

## ც ხ რ მ რ ე ბ

ლიტერატურა და ლერო-შემოსილისა მამისა ჩენისა  
ზორამი მთაწმილეობისა,

საღმრთო წერლის ქართულს ენაზე მთარგმნელისა,  
ათასის ივერიის სავანის გრიორისა და სრულად ივერიის  
განმანათლებელისა.

ერთხელ ძილზე მარიამმა იხრა ბრწყინვალე  
და დიდებით შემოსილი კაცი, რომელმაც რქია  
მარიამს: „აი დაგებადეთ თქვენ ძე, რომელიც  
აღრჩეულია დეთესაგა; შესწირეთ იგი მეუფება  
ქრისტეს თქვენი აღთქმესა მებრ და დარქვით მას  
გორგი“. მარიამმა, გამოილება თუ არა, ეს სიზმა-  
რი სხვარულით უამბო თავისს მეუღლეს. ორთავე  
ცრემლით მაღლობა შესწირეს უფალს და ელოდნენ  
სიზმის აღსრულებას.

ცრა თვის შემდეგ, 1014 წ., დაებადათ მათ  
საღმრთო და ლეთიაგან აღრჩეული ყრმა, აღთქმუ-  
ლი საუნჯე ივერიის ეკკლესიისა. წმ. ნათლისლების  
დროს მშობლებმა, თანახმად სიზმის დროს ბრძა-  
ნებრა, ყრმას სახელად გიორგი უწოდეს, რაიცა  
ნიშნავს: რიწის მუშაკს. მართლაც, ამ საღმრთო კაცება  
განამშვენა ივერიის ეკკლესია თავისი სწავლით,  
მოღეაწეობით და ნაწერებით. ყმაწვილი იზრდებო-  
და სულის წმიდას მაღლით, როგორც სხვულით, ისე  
სულით და პატარამიღგანვე აღვილი იყო ლეითის  
შიშით და სიყვარულით.

როცა გიორგი შეიდი წლისა შეიქნა, მშობ-  
ლებმა აღარულეს ლეთისადმი მიცემული აღთქმა,  
იგი მისცეს მაცევე მონასტერზე, სადაც იზრდებოდა  
მცი და ყმაწვილი იზრდებოდა მონასტერში და

სწავლობდა საღმრთო წერლის თავისი დას თეკლე-  
საგან.

გიორგი მეტად შშეენიჭი პარისახისა და აგე-  
ბულობისა იყო. მან სამი წელი იცხოვრა მონას-  
ტერში, სულ ათი წლისა იყო, როცა ივი თავისი  
მახვილეობით და ჭკუით აკირვებდა ყველას. გიორგის ნიჭი აკირვებდა როგორც მინაურებს და  
მონათესავეთ ისე იმ პირთ, რომელნიც მასს იცნობ-  
დნენ.

გიორგის ჰყავდა ორი ბიძა, რომელნიც მას  
მამაზე უხნევები იყენენ. იყინი იყვნენ ლეთის-მო-  
შინი და მოსაფენი. უმფროსი იყო გიორგი, რო-  
მელსაც მწერალს უწოდებდნენ, ვინაიდგან ლევებე  
ტწერალთ უხუცესი კოფილა მეფის სასახლეში; ხოლო  
უცროს საბას ეძახდნენ.

ორივნი სცხოვრებდნენ ხახულის მამაკაცთა  
მონასტერში დადის თანხმობით, ვინაიდგან იყინი  
დაჯილდოებულნი იყენენ როგორც გარეგანი სიმ-  
დიდროთ, ისე სულიერად.

როცა ამ ლეთის-მოსახმა მღვდელ-მონაზენებმა  
შეიტყვეს თავიანთი მმისწულის კეთილი თვისებანი,  
მათ ხახულის საეპისდგან მისწერებს თავიანთ მმას  
იაკობს, რომ მას დაუყოვნებლივ გაეგზავნა ან  
თავათ მიეყვანა მათთან მონასტერში თავისი შეი-  
ლი გიორგი. იაკობმა დაუყოვნებლივ აღარულა  
მმების ნება და თავისი ვაჟი წარყვნა ხახულის მო-  
ნასტერში. იქ მიეიდა თუ არა, პირველად იაკობმა  
თავისი ვაჟი შეცვენა უოცლად წილია ლეთისმშობლის  
ტაძარზე და ჩაბარა იგი ლეთისმშობელს, შემდეგ  
ჩაბარა გიორგი მმებს და თავის სახლში დაბ-  
რუნდა, როცა ნეტარი ყმაწვილის ბიძებმა დაინახეს  
გიორგის კეთილგონიერება და სიმშვიდე, ალიგენ  
სიხარულით და მაღლობდნენ ღმერთსა. შემდეგ ბი-  
ძებმა ყმაწვილი მიგარეს მონასტრის წინამშლევრს  
მაკარის. როცა წინამდევრმა დაინახა ყმაწვილი,  
ალიგენ სიხარულით და აკურთხა იგი და უწოდა  
მასს, თავის სულიერ შეილად; შემდეგ ყმაწვილი  
მიგარეს საკურთხებლად ერთ დიდ მოღვაწეს გასილს,  
ბაგრატის შეილს, დიდ მოღვაწეს და ივერიის ქვეწის  
მნიშობს. როცა ამ მოღვაწემ აკურთხა ყმაწვილი,  
შემდეგ იგი მიგარეს ლეთის-მოსაე მ. ანტონის,  
მნათობად წოდებულს, რომელმაც აკურთხა ყმაწ-  
ვილი და მშეიღობით გაისტუმრა იგი. ამ ხახით,  
როცა ყველა მოღვაწეთაგან გიორგიმ მიიღო ლოცვა-

კურთხევა, ბიძები თავიანთი ძმისწულით შინ დაპრონდენ. ღირსნი მამანი, ყმაწევილის ბიძები, რომელთაც განიზრახეს მიეკათ ძმისწულისათვის შესაუერი ქრისტიანობრივ ჭიერივი მამართულება, სასაჩვენებლოდ ქრისტეს ეკკლესია, მიაბარეს იგი ერთს ზღვა და შეკურს მოლვაწეს, ილარიონ თულავეს, ანუ თულალელს, რომელიც ბრწყინავდა როგორც ცხოვრებით, ისე უმაღლესი სულიერი განათლებით. ამ მოხუცებულს ჩაბარეს ყმაწევილი. მოხუცა ლეთის განგებით შეიტყო, რომ ეს ყმაწევილი შემდგენ, შეიქნებოდა ეკკლესია მშეენება, მიიღო იგი და დაუწყო სწავლება. გიორგი დიდის წარმატებით სწავლობდა საღმრთო წერილს, საეკკლესიო გალობას, ბერძულს ენას, ფალოსოფიას, რიტორიკას და ეკკლესიურ ყოველივე წესებს და ყველა თავის ტოლებს ჯობნიდა მახსოვრობით და ჭიუთ. რაც კი რამ წიგნი მოიპოვებოდა იმ ტროს ეკკლესიაში, არც ერთი წაუკითხავი არ დაუტავებია გიორგის. უშეტეს თავის უზრადღებას გიორგი აქცევდა ძევლა და ახალ ალტერნატივის ისტორიების შესწავლას.

ფეროვანი, ვასილი ბაგრატიონის დას ქვაჩამა, თავისი მეუღლით, რომელიც გამოიჩინილი იყო თავისი ქველმოქმედებით, განიზრახეს მოენახათ ლეთის მოშიში და კეთილ ცხოვრების კაცი, რომელსაც შესძლებოდა მათი ხელმძღვანელობა სულიერს ცხოვრებაში და განუშორებლივ ეცხოვრა მათთან. ცოტა ხნის შემდეგ, ორივენი დათანხმდნენ აეყვანათ ზემოხსენებული გიორგი მწერალი, ნეტარი ყმაწევილის ბიძა, რომელშიაც ნახეს სასურველი საუნჯე, ამის შემდეგ დაუწევს თხოვნა და ხევწნა, რომ გიორგი მწერალი დაბინავებულიყო მათთან და მათი ხელმძღვანელი ყოფილიყო. ბერი თხოვნის შემდეგ, და ბოლოს, მოხუცი დათანხმდა და წავიდა მათთან, ფეროვანი და მისმა მეუღლემ ყოველივე საქმე, როგორც სასულიერო, ისე შინაური ჩაბარეს მოხუცებულს. როცა მოხუცი ხახულის მონაცემისათვის სახლში წავიდა, თან წაყვანა თავისი ძმისწული გიორგი. ყმაწევილი თავისი ბიძის წუგი. იყო ყოველივე საქვეში, ეინაიდგან ბიძა მისი ძლიერ მოხუცი იყო.

როცა კეთილ მახურმა მეუღლებმა დაინახეს ყმაწევილის მართებულობა, გახარდათ, და ფეროვანის მეუღლემ კიდეც იშვიალა იგი; ყმაწევილი კარგა ხანს

დარჩა ამ კეთილმსახურ პირთა სახლში. ცოტა ხნის შემდეგ, მეფის ვასილი ვულგაროკონის ბრძანებით, ფეროვანის თავი მოსწრეს ცილი წამიგინა გამო, ვითომც მან ულალატა თავის ხელშივიფეს (უნდა შეენიშნოთ, რომ იმ დროს თხრალეთის მაზრა ბიზანტიის გვალენისა ქვეშე იყო), ხოლო მისი მეუღლე, სელენიფიას ბრძანებით გაგზავნეს კანსტანტინეპოლიში, საღაც იგი დარჩა თარჩეტი წელიწადი. საბერძნეთის სამეფოს სატახტო ქალაქში გიორგის დედა წოდებულმა მიაბარა ყმაწევილი ფალოსოფიას და რიტორიკის სასწავლებლად საერთო მსუბულულთვია არა, არამედ წმ. მოქადა, რომელთაც საფუძვლანათ იცოდნენ ეს საკნები და მასთან შესანიშნავი იყნენ ქეყლოქეცელებითა ცხოვრებით. ამ სახით თორჩეტი წლის განმავლობაში გიორგი დიდის ბეჯითობათ წაუკლაში ყველა მეცნიერებას და თავისი ნიჭით აკვარეცებდა თავისს მასწავლებლებს.

თორჩეტი წლის შემდეგ, მეფის ოფიციალური ბრძანების ძალათ, ფეროვანის მეუღლე, ქერივი, დაბრუნდა უკანვე საქართველოში, თავისს მამულში, თვარინათაში თრილეტში, და თანავ წარმოიყვანა გიორგი. აქ ყმაწევილმა შეიტყო, რომ დედა-მისი გარდაცვალებულიყო, ხოლო მამა-მისი, როგორც ძლიერ მოხუცი და დასუსტებული, სცხოვრებდა თავის ძმასთან გიორგისთან თეატრათაში. ყმაწევილი წავიდა ხახულის მანასტეზი თავის ბიძასთან საბასთან და, როცა ის 25 წლის შეიქნა, ბერიდ ალკვეცა. თუმცა პატარაობიდგანვე იგი ნამდევილი ბერივით ცხოვრებდა, მაგრამ აქამდე არ იქმ მონაცენად ალკვეციალი. იყი ალკვეცა ბერიდ ხახულის მანასტრის მოლაწეთა მეუდანოვე და მშენებაში, ფრიად მოხუცებულმა, ნეტარმა ილარიონ თულავება, რომელიც პირველად, როგორც ნათესავია, გიორგის მასწავლებელი იყო მონასტერში შესვლის დროს. ეს მოხუცებული იყო პირველი მისი მასწავლებელი და კეთილი ცხოვრების მაჩენებელი. მალე ამაგის შემდეგ ბერმა გიორგიშ განიზრახა პალესტინის წმიდა აღგილებას თავისთან საცემლად გამგზავრება. ასეთი განზარახვა ალძრია მასში თვით ლეთის განგებულებით. თვით ღმერთის ხელმძღვანელობდა და იფრავდა ივერიის მომავალს მნათობს იერუსალიმისაკენ მოგზაურობის დროსაც.

როცა ლორისი გიორგი იერუსალიმში მივიდა, მან დიდია მოწიწებით თავიანი სკა ყევლა წმიდა აღგილებას. იერუალიმში გიორგი ცოტა ხანს დარჩა,

ჰემდევ უკანვე დაბრუნედა და ხელახლად თავისს შესრულებელ მოხუც გიორგესთან მიერდა. ცოტა ხნის შემდევ მოხუცმა ჩაბარა გიორგის საღმრთო წერილის წიგნები, ბერძნულს ენაზე ნაწერნი და სოსოფა ამ წიგნების შერძნულიდან ქართულს ენაზე თარგმნა. ლიტი გორგი უკართბდა თავისს თავზე ისეთი ძნელი მოვალეობის მღებას, როგორც იყო საღმრთო წიგნების თარგმნა. მან მიუვთ მოხუცს: მამო, არ შეძლება ახეთი საქმის აღსრულება შოთაოვით ჩემიან. ახეთი საქმე შეშენის ღვთხს მოშიშთ და ბრძენ პირთა, რომელნიც მზგავნი ცუ ვნენ ჩენი წმიდა მანწევებლის ევთიმისა!. ამაზე შოთაოვი უპასუხა გროვის: «ჩემთ შერლო, ეფი, რომელმაც ის წილი მამა რამდენიმდ გზრთ სოკელისაგან დაიიღო, მის ცა მასს ნაწი ენათა ცოდნისა და დეთი შემწიობით წმ. ექვთიმე საფუძლიანად შეისწევა ქრისტული ენა და წემდევ ამ ენაზე თარგმნა საღმრთო წერილი, იღვევ ღმერთი შეგეწევა შენ საღმრთო წერილის გადათახმნაში, ვინაიდგან ღმერთის უყვარს და სწელობს ჩენს ხალხს, ხოლო ჩენ კი შევეველებით წმ. ექვთიმეს, რომ მან შემწიობა აღმოგეჩინოს უნი მცხვან დაუსრულებელ საქმის დამთავრებაში.

(შემდეგი იქნება)

## მ ე წ ი რ წ უ ლ ე ბ ა ნ ი .

დავით აღმაშენებელის სასოფლოს სამდოცებულოს გასახსლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბის მოსახლეებიდან ჩენ მიეიღოთ შეწირულება თავადი დიმიტრი მაყაშეილიდან თუ მანეთი.

თ. თავადი ამხამ იაგორის ძის ვაჩნაძისაგან და მათი მეულლის ბარბარესაგან სამი მანეთი.

თ. ზაალ მაყაშეილისაგან ერთი და ქალბატონის სოფიო ზაქარიას ასულის მაყაშეისაგან კრთი მნეთი.

და სულ შვიდი მანეთი. ამ ფულებისა იყო დღემდის 3212 და ამ შეიდი მანეთით იქნება 3219 მან.

## ი ს უ ი ღ ე ბ ა

კაცელარის ნივთების გაღაზიაში

ი. მურადოვის—ქუთაისში

უოველგვარი რევულები

პირველი ღრმას ასი ცალი ღრის 3 მან.

მ ე თ რ ე 〉 〉 〉 〉 2 მან.

სპრეთვე სხვა და სხვა ამ გვარი ნივთები ისყიდებიან ფრიად იაფად.

შინუსისი: თფიცრადური განეოფილება: უმაღლესი ბრძანება.—საქარველოს საქესარხოსოს სამღვდელოის საცნობელად, სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად.—ნესხა სასულიერო უწევებაში შოსამსახურე პირთა, რომელთაც დაენახათ პენსია.

საღიატერაცური განეოფილება: მაწანწალა მათხოვები.—ანანურის ცამარი.—შესანიშნავი ხელნაწერი.—საისტორიო მასალა.—პასუხი მ. ალექსი გიორგაძეს.—ახალი ამბები და შეინშენები.

სწავლა—ძეცხიერება ქიასტანის სარწმუნო—ებისა და კეთილ ზენობაზე: ცხოვრება ღირსისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწინდელისა.

შეწირულება.

განცხადება.